ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/040823/1

ქ. თბილისი **04 აგვისტო, 2023 წელი**

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ.№16, ს/კ 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი # TRESGE22; ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შპს „როდა“** მისი დირექტორის დავით ბოლქვაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ., N 4, ბ. 1, ს/კ 445425718, ტელ: +995 551 098200, ელ-ფოსტა: r.ananidze@mail.ru; სს „საქართველოს ბანკი, BAGAGE22, ა/ა #GE32BG0000000335589000

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 შემსყიდველმა, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით, გამოაცხადა **საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“- ს (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამებას ტერიტორია, ს.კ. 65.13.33.045) ტერიტორიაზე არსებული ძველი ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟის სამუშაოების (CPV45111300 - დემონტაჟის სამუშაოები) შესყიდვაზე** აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი **(NAT230011865)** და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ შეასრულოს ზემოაღნიშნული სამუშაოები.

1.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **278 276.03 (ორას სამოცდათვრამეტი ათას ორას სამოცდათექვსმეტი ლარი და 03 თეთრი) ლარს.**

1.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების კონტროლს (ინსპექტირებას). შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს შესრულებული და მიმდინარე სამუშაოების ინსპექტირება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომლის მიზანია სამუშაოების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით შეთანხმებულ პირობებთან.

2.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ან/და მისი ნაწილის შესახებ, წუნდების მიზეზების მითითებით.

2.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

2.4. მიმწოდებელმა სამუშაოთა წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი.

2.5. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, სამუშაოების ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მოწყობილობების და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება არსებული და საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მოწყობილობების გამოყენება.

2.6. მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს შემოწმების-ზედამხედველობის ჩატარების დროს.

2.7. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა სრული დაცვით. მათ შორის: აწარმოოს სამუშაოების ხარისხის კონტროლი.

2.8 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

2.9. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების ნორმები, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.

2.10. განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად შრომის უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებით აღმოჩენილი დარღვევების საფუძველზე, შემსყიდველს უფლება აქვს, შეაჩეროს სამუშაოები და წერილობით აცნობოს შრომის უსაფრთოხების ნორმების დაუცველობის შესახებ, ასევე მოსთხოვოს მიმწოდებელს განსაზღვრულ ვადაში დარღვევების გამოსწორება. გამოსწორების ვადა შესაძლებელია განისაზღვროს მხარეების ურთიერთშეთანხმებით.

2.11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3.სამუშაოს შესრულების ვადები და პირობები

3.1 სამუშაოების შესრულების ვადები და პირობები მოცემულია დანართი N2-ში;

3.2.მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით განსაზღვრული სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების ხელისმოწერის (გაფორმების) დღიდან და დაასრულოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ვადების განმავლობაში (დანართი N2 თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

4.თანმდევი მომსახურება

4.1 მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაანთავისუფლოს სამუშაო ადგილები სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან. სამუშაოების წარმოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის ზემოქმედება როგორც სამშენებლო, ისე მომიჯნავე ობიექტებზე.

5.შესყიდვის იბიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მთლიანად შესრულებული სამუშაოს ან სამუშაოს ეტაპის მიღება-ჩაბარებისთვის (შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე) მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა N2, შესრულებული სამუშაოების მოცულობების და ხარისხის დადგენის მიზნით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა (ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი) და ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ. სამუშაოთა საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება მათი დამთავრების შემდეგ თანახმად ტექნიკური პირობებისა, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების საფუძველზე.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი და წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.3. სამუშაოების შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადებში.

5.4 შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

6.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი GB 5060/23 ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა, **გაცემული სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“-ს მიერ 27 828.00 (ოცდაშვიდი ათას რვაას ოცდარვა ლარი და 00 თეთრი) ლარის უზრუნველსაყოფად.**

6.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს) და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

6.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებიდან 30 დღის ვადაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაბრუნებას.

6.4. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაბრუნებას.

7.ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მთლიანად ასევე ეტაპობრივად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო და გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

7.4. „7.2“ პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ხელშეკრულების „5.4“ პუნქტში მითითებული პირ(ებ)ი.

8.ფასები

8.1. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

10.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

10.2.2. უზრუნველყოს ტერიტორიების მზადყოფნა სამუშაოების დასაწყებად. სამუშაოების შესრულების ადგილი მითითებულია დანართი N2-ში.

10.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

10.2.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

10.2.5. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს შესრულებულ სამუშაოებზე რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ სამუშაოთა შესრულების პერიოდის მანძილზე.

10.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

10.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვასა და სამუშაოების შესრულებაზე;

10.3.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების და მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

10.3.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტ(ებ)ს;

10.3.4. აღნიშნულ ობიექტებზე სამუშაოების პროცესში მოთხოვოს მიმწოდებელს მის მიერ გამოსაყენებელი ყველა მოწყობილობის საერთაშორისო სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატ(ებ)ი, ასევე სამუშაოების ნებისმიერ ეტაპზე მოთხოვოს მიმწოდებელს აღნიშნული სამუშაოებისთვის განკუთვნილი გამოსაყენებელი მოწყობილობების ნიმუშ(ებ)ის წარმოდგენა. (მოთხოვნა შესაძლოა განხორციელდეს როგორც წერილობით ასევე სიტყვიერად), შემსყიდველს უფლება აქვს დაიწუნოს აღნიშნული ნიმუშები, როგორც ხარისხის, ასევე ვიზუალური თვალსაზრისით.

10.3.5. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე.

10.3.6. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

10.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

10.4.1. სამუშაოები აწარმოოს შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი N1 დანართში მოცემული კონკრეტული სამუშაოების, მოცულობების და პირობების მიხედვით (დანართიN1 თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს);

10.4.2. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

10.4.3. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულების პირობების „3.2“ პუნქტით განსაზღვრულ ვადებში;

10.4.4. ფარული სამუშაოები აწარმოოს შემსყიდველის კოორდინატორის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ არანაკლებ 2 (ორი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან/და სიტყვიერად აცნობოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოების განხორციელების თარიღის შესახებ.

10.4.5. აწარმოოს კონსტრუქციების გამოცდები, გააფორმოს საერთო და სპეც. სამუშაოთა წარმოების ჟურნალები და ფარული სამუშაოების აქტები.

10.4.6. მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და ვადების შესაბამისად საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს თავის ან/და შემსყიდველის მიერ მოწონებულ ლაბორატორიაში კონსტრუქციების ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდა და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე და შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნები გადასცეს შემსყიდველს. ლაბორატორიული ექსპერიზის ჩატარება გარდა დადგენილი წესისა და საკუთარი ინიციატივისა, მიმწოდებელმა ასევე უნდა განახორციელოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად სამუშაოების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე.

10.4.7. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

10.4.8. აღნიშნულ ობიექტებზე სამუშაოების პროცესში პრეტენდენტის (შემდგომში მიმწოდებლის) მიერ გამოყენებული ყველა მოწყობილობა უნდა იყოს ახალი და ქარხნული წარმოების. ამასთან, მიმწოდებელი სამუშოების დაწყებამდე მოწყობილობებს ათანხმებს შემსყიდველთან.

10.4.9. უზრუნველყოს სამშენებლო მოედნის დროებითი წყლითა და ენერგიით მომარაგება არსებული ქსელებიდან.

10.4.10. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მოწყობილობების, აღჭურვილობების და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებლი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მოწყობილობების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მოწყობილობების, აღჭურვილობებისა და მექანიზმების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებლს.

10.4.11. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომითი უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვის, ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

10.4.12. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები ობიექტების ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

10.4.13. მიმწოდებელი პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები, კერძოდ; უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა და მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე.

10.4.14. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე.

10.4.15. სამუშაოების დაწყებამდე სამუშაო ობიექტ(ებ)ზე შრომის უსაფრთხოების საკითხები აცნობოს და განიხილოს შემსყიდველთან.

10.4.16. დაემორჩილოს შემსყიდველის მიერ დანიშნული/მოწვეული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის/ორგანიზაციის ნებისმიერ მითითებას.

10.4.17. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ გაცემული მითითების ასლი მიაწოდოს შემსყიდველს.

10.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

10.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

10.6 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს სამუშაოების განმახორციელებელი პერსონალის ზედამხედველთან შეთანხმება, შესაბამისი პერსონალის სახელის, გვარის, დაკავებული პოზიციის მითითებით. ზედამხედველი უფლებამოსილია მიმწოდებელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია მიმწოდებლის პერსონალთან დაკავშირებით.

10.7 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დემონტირებული მასალების, სახეობების მიხედვით დასაწყობება, საბაჟო გამშვები პუნქტი "ნინოწმინდა"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების „3.2“ პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.15%-ის ოდენობით (ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაში არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც დაჭირდება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ დასკვნის (ცნობის) გაცემას).

11.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების „11.2“ პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ნაწილობრივი შესრულების პირგასამტეხლო, ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

11.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების „7.2“ პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე არსებული დავალიანების თანხის 0.15%-ის ოდენობით;
11.5 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ჩამოერთმევა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
11.6. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:
11.6.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზებით. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11.6.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების „11.6.1“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.
11.6.3. ხელშეკრულების „11.6.2“ პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.
11.7. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) ჩაბარებიდან ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გადაგზავნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში..

12. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა
12.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.
12.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.
12.3 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.
12.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით, აგრეთვე პროექტით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.
12.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა
13.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლპარაკების საფუძველზე.
13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზეც მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს (გარდა ამ ხელშეკრულების „11.3“ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) 10 დღით ადრე.
14.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
14.3. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
14.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან
14.5. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი;
14.6. ამ მუხლის პირველსა და მე-5 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი: **სსიპ „შემოსავლების სამსახური"**	**მიმწოდებელი:** **შპს „როდა"**
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2023.08.04 18:42:08 +04'00'	Davit Bolkvadze Digitally signed by Davit Bolkvadze Date: 2023.08.04 17:33:43 +04'00'
მიხეილ ახვლედიანი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	**დავით ბოლქვაძე** დირექტორი

ნინოწმინდის ძველი საბაჟოზე გამშვები პუნქტის არსებული შენობა ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	ნორმატიული			ხელფასი		მასალა		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
		რესურსი									
		განზ.	ერთეული	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	3	4	5	6'	7'	8'	9'	10'	11'	12'	13'
	სადემონტაჟო სამუშაოები										
1	ღერძული სასწორის დემონტაჟი ადგილზე (დამკვეთის მიერ მითითებულ) დასაწყობებით	ც		3	300.00	900.00	-	-	250.00	750.00	1,650.00
2	დიზელის 7 ტონიანი ავზის დემონტაჟი ადგილზე (დამკვეთის მიერ მითითებულ) დასაწყობებით	ც		2	455.22	910.44	-	-	64.04	128.08	1,038.52
3	გარე განათების ბოძს დემონტაჟი ადგილზე (დამკვეთის მიერ მითითებულ) დასაწყობებით	ც		22	8.00	176.00	-	-	4.00	88.00	264.00
4	კაპიტალური ბლოკის ღობის დემონტაჟი	კუბ.მ.		713.000	24.20	17,254.60	-	-	4.40	3,137.20	20,391.80
5	კარის ბლოკის დემონტაჟი ადგილზე (დამკვეთის მიერ მითითებულ) დასაწყობებით	კვ.მ.		188.00	7.00	1,316.00	-	-	1.00	188.00	1,504.00
6	ფანჯრის ბლოკის დემონტაჟი ადგილზე (დამკვეთის მიერ მითითებულ) დასაწყობებით	კვ.მ.		335.00	9.00	3,015.00	-	-	1.00	335.00	3,350.00
7	არსებული შენობის დემონტაჟი	მ3		6392.00	8.00	51,136.00	-	-	2.00	12,784.00	63,920.00
8	მეტალოპლასტმასის გასვლის დარბაზის დემონტაჟი, პასპორტკონტროლის 3 ჯიხურის დემონტაჟი, ადგილზე დასაწყობებით (დამკვეთის მიერ მითითებულ ლოკაციაზე)	მ3		295.00	3.08	908.60	-	-	4.69	1,383.55	2,292.15
9	მეტალოკრამიტის გადახურვის დემონტაჟი	კვ.მ.		1093.00	3.80	4,153.40	-	-	0.18	196.74	4,350.14
10	დემონტირებული მასალის (მეტალოკრამიტი) ხელით გადაადგილებით ადგილზე დასაწყობებით	ტ		4.37	21.68	94.78	-	-	-	-	94.78
11	ტერიტორიის გასუფთავება სამშენებლო ნაგვისგან ხელით	ტონა		3186.24	9.33	29,727.62	-	-	-	-	29,727.62
12	სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე ხელით	კუბ.მ.		1991.40	3.23	6,432.22	-		-	-	6,432.22
13	სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება 15 კმ.-ზე	ტონა		3186.24	-	-	-	-	6.16	19,627.24	19,627.24
	საჩრდილობლის დემონტაჟი				-	-	-	-	-	-	-
14	საჩრდილობელიდან გოფრირებული თუნუქის დემონტაჟი	კვ.მ.		2996.00	2.00	5,992.00	-	-	0.18	539.28	6,531.28
15	დემონტირებული მასალის (გოფრირებული თუნუქი) ხელით გადაადგილებით ადგილზე დასაწყობებით	ტ		11.98	21.68	259.81	-	-	-	-	259.81
16	რ/ბეტონის სვეტების დემონტაჟი	მ3		280.00	110.88	31,046.40	-	-	67.20	18,816.00	49,862.40
17	საჩრდილობლის ლითონკონსტრუქციის დემონტაჟი ადგილზე (დამკვეთის მიერ მითითებულ) დასაწყობებით	ტონა		55.3738	120.00	6,644.86	3.19	176.64	114.21	6,324.24	13,145.74
	ჯამი					159,967.74		176.64		64,297.33	224441.71
	სატრანსპორტო ხარჯები (მასალიდან)	3%									5.30
	ჯამი										224447.01
	ზედნადები ხარჯები	1%									2244.47
	ჯამი										226691.48
	გეგმიური მოგება	1%									2266.91
	ჯამი										228958.39
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	3%									6868.75
	ჯამი										235827.14
	დღგ	18%									42448.89
	ჯამი										278276.03

დანართი N2

სამუშაოს შესრულების ვადები

სამუშაოს დასახელება	**სამუშაოების შესრულების ადგილი**	**სამუშაოების შესრულების ვადა**
საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“- ს ტერიტორიაზე არსებული ძველი ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟის სამუშაოები	საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამებას ტერიტორია, ს.კ. 65.13.33.045	სამუშაოების შესრულება უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღის მომდევნო კალენდარული დღიდან და უნდა დასრულდეს **150 (ას ორმოცდაათი)** კალენდარული დღის ვადაში